ლელო
საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი
5 ივლისი, პარასკევი, 1991 წ.
№ 125 (10 588) ● ფასი 10 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კომისია და ქვეკომისიები მუშაობას შეუდგნენ

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც შეისწავლის ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებას.

— ჩვენი მთავარი ამოცანაა ობიექტურად შევისწავლოთ და შევაფასოთ ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატთან დაკავშირებით თავჩენილი პრობლემები. საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს სიმართლე, ამასთან უნდა სჯეროდეს, რომ მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება — ამბობს კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი მურთაზ მნათობიშვილი.

კომისია ამ დღეებში ორჯერ შეიკრიბა, მეორედ გუშინ — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებთან ერთად. ერთობლივ სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ კომისიის მუშაობა ოთხი მიმართულებით წარიმართება. პირველი ქვეკომისია შეისწავლის საკითხს თუ რამდენად სწორი იყო მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების გუნდების საქართველოს ჩემპიონატიდან გამოთიშვის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება სხვებისთვის ამ გუნდების ქულების გაუქმების თაობაზე. ამ ქვეკომისიას ხელმძღვანელობს ვ. მახარაძე.

მეორე კომისიას დაევალა დასკვნა მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების საქართველოს მესამე ჩემპიონატში მონაწილეობის შესახებ (ხელმძღვანელი ა. ჩივაძე). მესამე ქვეკომისიამ, რომელსაც გ. ბაქანიძე ჩაუყენეს სათავეში, უნდა შეიმუშაოს და მთავარ კომისიას წარუდგინოს მომავალი ჩემპიონატის ჩატარების დახვეწილი პროგრამა. ხოლო მეოთხე ქვეკომისია (ხელმძღვანელი ჯ. ბაგრატიონი) ნეგატიურ მოვლენებთან, მათ შორის ანგარიშებთან დაკავშირებულ საკითხებს ჩაუღრმავდება. დასამალი არაა, რომ ეს საკითხი ყველაზე მტკივნეულია, ფეხბურთს ბევრი ისეთი პიროვნება მიეტმასნა, რომელიც სახელს უტეხს არა მარტო ფეხბურთს და ფეხბურთის ფედერაციას, არამედ საერთოდ ქართულ სპორტს.

ჩვენს ფეხბურთში სიწმინდისათვის ბრძოლა მხოლოდ სტრუქტურულად სახელმწიფოებრივი ორგანოს და ფედერაციის საქმე როდია. კომისიას საზოგადოებრიობის მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს. თქვენი წინადადებები, თქვენს მიერ შენიშნული დარღვევების კონკრეტული ფაქტები, შენიშვნები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ „ლელოს" რედაქციაში (კონვერტზე წარწერით „კომისიისათვის").

ბოლოს ისევ კომისიის თავმჯდომარეს ბატონ მურთაზ მნათობიშვილს მოვუსმინოთ: „ჩვენ არ ვაპირებთ საკითხების კრიმინალურად შესწავლას, ეს სხვა ორგანოების საქმეა. დიდი სურვილი გვაქვს გამოწვლილვით, მიზეზ-შედეგობრიობის ანალიზით შევისწავლოთ ყველა პრობლემა და დავსახოთ მდგომარეობის გამოსწორების სწორი გზები. მოკვლეულ მასალებს ალბათ, პირველ ყოვლისა, ისევ ფეხბურთის პრეზიდიუმს გავაცნობთ. მათი, პირადად ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის დახმარების დიდი სურვილი გვაქვს. ბატონ ნოდარს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების საინტერესო წინადადებები აქვს, რაშიც მხარდაჭერა ესაჭიროება. იგი ამჟამად ავადაა, მკურნალობს და ყველას გვინდა, მალე გამოჯანმრთელდეს.

კომისია და მისი ქვეკომისიები მუშაობას შეუდგნენ.

ბუნტი სამბოს სამყაროში ჩვენი გამარჯვებით დასრულდა

მეამბოხეთა თავგადასავალი იტალიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლა მალქუსტი ბულგარელი ემიგრანტია შვეციაში. ყოფილი სამბისტის დამსახურებაა, რომ სპორტის ამ სახეობას დღეს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს შვედებს შორის. ნიკოლა პრინციპული და ობიექტური ახალგაზრდა კაცია, მისმა პოზიციამ მნიშვნელოვნად განაპირობა კონგრესის მუშაობის წარმატებით დაგვირგვინება.

თავის გამოსვლაში მალქუსტმა თქვა: „მოხარული ვარ, რომ შევიკრიბეთ და სამბოს მომავალ ბედზე ვმსჯელობთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ არიან სამბოს „მშობლები" — ქართველები, რომელთა ეროვნული ჭიდაობიდან ყველაზე მეტი წაიღო სამბომ, აქ არიან რუსები და ლიტველები, ვიმეორებ, ისინი სამბოს „მშობლები" არიან და მკრეხელობაა, როცა მათ საფრანგეთის ფედერაციის პრეზიდენტი სტუმრებს უწოდებს. თუნდაც ყველაფერს გავანებოთ თავი, ისინი თავიანთი ქვეყნების წარმომადგენლები არიან და არა სტუმრები. ვიყოთ ფრთხილი სიტყვების შერჩევისას. მეც ვემხრობი იმ აზრს, რომ ჩვენ, მხოლოდ ევროპის წარმომადგენლებს, არ გვაქვს უფლება შევქმნათ მსოფლიოს ფედერაცია. პირდაპირ გაკვირვებული ვარ ლაბრუსის პოზიციით, რომელიც ამას დაჟინებით მოითხოვს. მე არ მესმის, როგორ სურს საფრანგეთს მარტომ შექმნას მსოფლიო ფედერაცია (ამით გამომსვლელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩვენ ყველა წინააღმდეგნი ვართო, თ.გ.). ჯერ შევქმნათ ევროპის ფედერაცია, ვაჩვენოთ ყველას, რომ კარგად ვუძღვებით საქმეს, მოვიმხროთ სხვა ქვეყნებიც და შემდეგ დავაყენოთ მსოფლიოს ფედერაციის შექმნა დღის წესრიგში. ეს ჩემპიონატი კი კარგად ჩავატაროთ და მსოფლიოს საქმით დავანახოთ, რა შეგვიძლია".

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 122, 123, 124.

კონგრესზე საქმე ასეთ დაძაბულობამდეც მიდიოდა, კიდევ რამდენიმე წუთი და ნოდარ ექვთიმიშვილს (მარჯვნივ) ვიცე-პრეზიდენტად აირჩევენ, ლაბრუსს (მარცხნივ) კი საქმე სახვეწნად გაუხდება....

შვეციის წარმომადგენელმა სიტყვა დაამთავრა თუ არა, კვლავ წამოიჭრა ზეზე ლაბრუსი და უკვე მუქარანარევი ტონით გაიმეორა — „სულ ერთია, მსოფლიო მხოლოდ საბჭოთა კავშირს სცნობს და არა ცალკეულ რესპუბლიკებსო.

შემდეგ ალჟირის წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ ეს კონგრესი არაა უფლებამოსილი შექმნას მსოფლიო ფედერაცია, მხარი დაუჭირა ევროპის ფედერაციის შექმნის წინადადებას და ამ ფედერაციაში საქართველოს, რუსეთის და ლიტვის გაწევრიანებას.

ლაბრუსი მიხვდა, რომ ბრძოლას აგებდა და კონგრესის მიტოვება მოინდომა. კარებისაკენ გაემართა, მაგრამ ნოდარ ექვთიმიშვილმა შეაჩერა. ახლა კი ნამდვილად დრო იყო ჩვენი სამბოს პრეზიდენტიც გამოსულიყო, ბრძოლის ველზე ეულად დაეტოვებინა ლაბრუსი (ლიტველის პოზიცია ნათელი იყო, სან-მარინოს დელეგაციაც მხარს გვიჭერდა, ლაბრუსს, ცხადია, იტალიელის ნეიტრალიტეტის ამბავიც კარგად მოეხსენებოდა).

ნ. ექვთიმიშვილი: „მადლობელი ვარ, რომ ალჟირის წარმომადგენელი გავიცანი. მადლობელი ვართ ყველასი, ვინც ჩვენი უფლებებისათვის ბრძოლაში მხარს გვიჭერს. მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა, გვყავს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და მთავრობა, გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია, სსრ კავშირთან ყოველგვარი სპორტული ურთიერთობა გაწყვეტილია და, ამის შემდეგ, თქვენ, ბატონო ლაბრუს, აცხადებთ, რომ არ გვცნობთ? ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საფრანგეთი დემოკრატიის დამცველი ქვეყანა

იხ. მე-2 გვ.

ქალები უბრძოლველად...

„წყალტუბო, 4 ივლისი. ამჯერად ტელეფონთან მოვიდა ჩემპიონატის ერთ-ერთი მონაწილე ოჩამჩირელი ეკა კემულარია. მან გვაცნობა, რომ გათამაშების ლიდერმა, გორელმა ცირალა ქასოშვილმა და თბილისელმა იამზე თვაურმა დღეს თითო ქულა ისე ჩაიწერეს, რომ პარტიები არ შემდგარა. მიზეზი მათი ამ დღევანდელი მეტოქეების — თბილისელი თეა ლანჩავასა და ქუთაისელ სოფიკო ნიკოლაძის ტურნირიდან გასვლა იყო — ერთიც და მეორეც ბრმა ნაწლავის შეტევის გამო (უცნაური დამთხვევაა) საავადმყოფოში მოხვდნენ. ისე რომ, დარჩენილ პარტიებში ლანჩავასა და ნიკოლაძის მეტოქეები ასევე უბრძოლველად მიიღებენ თითო ქულას.

სანატორიუმ „მეშახტის" კონფერენცდარბაზში დღეს ოთხი წყვილი მიუჯდა საჭადრაკო დაფებს და, მოხდა ისე, რომ თეთრი და შავი ფიგურების თავისებურ დუელში 2,5:1,5 შავი ფიგურებით მოთამაშეებმა გაიმარჯვეს. კერძოდ, თბილისელმა ინგა ხურცილავამ და სამტრედიელმა სოფიკო ტერელაძემ შავი ფიგურებით აჯობეს, შესაბამისად, ქუთაისელ ოლოლი ალხაზაშვილსა და რუსთაველ ლალი აგაბაშვილს, მეორე ქუთაისელი ნათია აფხაიძე კი მე დამიზავდა. თბილისელმა ლელა თანდაშვილმა (იგი თეთრი ფიგურებით თამაშობდა) მოუგო წყალტუბოელ ასმათ კვანტალიანს.

9 ტურის შემდეგ ქასოშვილს 7,5 ქულა მოუგროვდა — იგი ლიდერია.

წყალტუბოსა და ქუთაისის სტადიონებზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება 1991 წელს ქალაქების წყალტუბოსა და ქუთაისის სტადიონებზე ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის, თასის გათამაშებისა და სხვა სპორტულ-სანახაობით ღონისძიებათა დროს ფულისა და ნივთების ლატარიის ტირაჟების ჩატარების შესახებ.

ერთი ლატარიის ბილეთის ღირებულება 20 მანეთია.

მოგებათა განაღდებას მოხმარდება რეალიზებული ლატარიის ბილეთების თანხის 40 პროცენტი.

მიღებული შემოსავალი, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მიემართება საოპერაციო ხარჯების (ლატარიის ბილეთების დაბეჭდვა, დაცვის ღონისძიებები, ტირაჟის ჩატარება) დასაფარავად, ნაწილდება შემდეგნაირად: 35 პროცენტი ჩაირიცხება რესპუბლიკურ ბიუჯეტში (იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მიემართება ქველმოქმედებაზე), 10 პროცენტი დარჩება შესაბამისი ქალაქის სტადიონს, ხოლო დარჩენილი სახსრები განაწილდება პარტნიორებს შორის, ლატარიის ჩატარების უზრუნველსაყოფად დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წლის განმავლობაში ჩასატარებელი ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები იყოფა 10 გამოშვებად, თითოეულ გამოშვებაში გაიმართება დამოუკიდებელი ტირაჟი.

ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები დაიბეჭდება თითოეული ტირაჟისათვის 800 ათასი მანეთის საერთო თანხის 40 ათასი ცალის ოდენობით. თითოეულ გამოშვებაში შედის ერთი ათასი სერია და 40 ბილეთის ნომერი, № 01-დან № 40-მდე, ხოლო სერიების საერთო რაოდენობაა № 00001-დან № 10000-მდე.

თითოეულ ტირაჟში თამაშდება 335 ათასი მანეთი საერთო თანხის მოგება. სულ გათამაშდება ათი იტალიური ავტომანქანა „ფიატ-ტიპო" და 180 ფულადი მოგება, სულ 500 000 მანეთისა.

მოგებები გაიცემა ტირაჟის დღესვე, სტადიონებზე, ღონისძიების დამთავრების შემდეგ.

CAMPIONATO

1991 წლის 2 ივლისი. საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები გუნდის პირველი გასვლითი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი კიშინიოვში მოლდოვას ნაკრებთან. ——— ანზორ კოქლამაზაშვილის ფოტო. ——— ფოტორეპორტაჟი იხ. მე-3 გვერდზე.

მეამბოხეთა თავგადასავალი იტალიაში

(დასასრული)

იყო. თქვენ, ბატონო ლაბრუს, აქ პოლიტიკურ საკითხებში ჩვენი განათლება მოისურვეთ და კონგრესი ქვეყნების პოლიტიკური სტატუსის გასარკვევად გსურთ გამოიყენოთ. ეს არ არის თქვენი საქმე, ჩვენ აქ სპორტულ თემაზე ვმსჯელობთ და ნუ გადავაჭარბებთ.

ბატონებო, საფრანგეთის სამბოს პრეზიდენტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეკომენდაცია მოიშველია, და დასძინა, რომ თუ ისეთი ფედერაცია შეიქმნება, სადაც ჩვენ გავწევრიანდებით, ოლიმპიური ქარტია დაირღვევა. ეს უპასუხისმგებლო განცხადებაა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არავის არ კარნახობს, რა ფედერაცია შექმნან და ვინ გააწევრიანონ ამ ფედერაციაში, ის მხოლოდ შექმნილი ფედერაციის აღიარების საკითხს განიხილავს და ითანამშრომლებს მასთან. თუ ბატონ პრეზიდენტს ჩემი შენიშვნის გაბათილება სურს, მაშინ ვთხოვ წარმოადგინოს ოლიმპიური ქარტია და დაგვიმტკიცოს, რომ წესებს ვარღვევთ.

ჩვენ გვესმის, რა აწუხებს ბატონ ლაბრუსს, მას უნდა გახდეს სამბოს მსოფლიოს ფედერაციის პრეზიდენტი და თანაც გახდეს ახლავე. ახლა ეს შეუძლებელია. მომავლისათვის კი, პირადად მე, მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო, რომ იგი დამსახურებულად აირჩიონ პრეზიდენტად".

ლაბრუსს ნოდარის ბოლო სიტყვებმა, მართალია, გული მოულბო, მაგრამ ვერა და ვერ შეეგუა დამარცხებას. მან თავმჯდომარეს ანიშნა და სხდომის შეწყვეტა მოინდომა, მაგრამ იტალიელმა დაყოლა ვერ გაბედა. ამ არეულობაში დროულად მოითხოვა სიტყვა ლიტვის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ფ. ეიგმინასმა. ჩვენმა თანამებრძოლმა თავისი ქვეყნის ღირსების შელახვად მიიჩნია ლაბრუსის პოლიტიკური განცხადებები, ცხადია, კატეგორიულად მოითხოვა ევროპის ფედერაციის შექმნა და მასში ჩვენი გაერთიანება. ბოლოს თქვა, რომ ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს ფედერაციის სტრუქტურა. როგორც ჩანს, ლაბრუსს, თუ იგი თავისას ვერ გაიტანდა, ის მაინც უნდა მოეხერხებინა, რომ საერთოდ ჩაეშალა კონგრესი.

პადრე მარიო ლოი (მარჯვნივ) და ნოდარ ექვთიმიშვილი — პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ერთმანეთს ულოცავენ გამარჯვებას.

კონგრესის თავმჯდომარე: „ბატონებო, ვაგვიანებთ, სამწუხაროდ, სადილის დრო მოახლოვდა, ვიდრე სადილზე წავიდოდეთ, განვსაზღვროთ, რა დავარქვათ შეჯიბრებას, ევროპის ჩემპიონატი თუ..."

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს იმ დღეს მთავარი თემა სადილი იყო და სხვა არაფერი. პადრესგან გაგვიკვირდა — ეტყობა, ეს სათადარიგო ვარიანტი ლაბრუსისაგან იყო შეთავაზებული.

მ. ტიხონოვი: „ჯერ ვერსადაც ვერ წავალთ, ვიდრე შეჯიბრების სტატუსს განვსაზღვრავდეთ, ის ორგანო შევქმნათ, ვისაც ასეთი სტატუსის მინიჭების უფლება ექნება". ამ განცხადებამ ერთხელ კიდევ იხსნა კონგრესი ჩაშლისაგან. არადა, სტატუსის გარეშე შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელი იყო.

ლაბრუსის თავმჯდომარემ წესდება მოიტანა და განაცხადა, რომ ახალი ფედერაციის სტატუსი ამ წესდებაშია მითითებული.

მ. ტიხონოვი: „ვინ დაამტკიცა, ვისგანაა მიღებული ეს წესდება, ვიმეორებ, ჯერ შევქმნათ ორგანო და მერე მივიღოთ წესდება".

ნ. ექვთიმიშვილი: „ჩვენს გარდა ვინ იყო უფლებამოსილი, მიეღო წესდება, რატომ ვარღვევთ წესს?".

თავმჯდომარე: „ვუყაროთ კენჭი ევროპის, საერთაშორისო ფედერაციის შექმნას?".

ე. ლაბრუსი: „არა, პოზიციები დასაზუსტებელი".

ნ. ექვთიმიშვილი: „მაშინ მე მოვითხოვ უთარგმნოთ ბატონ ლაბრუსს, რომ ჩვენ ევროპის ფედერაციის შევქმნით საფრანგეთის გარეშე, ერთი დელეგატის წინააღმდეგობა ხელს ვერ შეგვიშლის".

ამ მომენტიდან ფრანგი აშკარად წავიდა დათმობაზე, კარტიც გახსნა: „მომეცით გარანტია, რომ მსოფლიო ჩემპიონატი გაისად ჩატარდება საფრანგეთში და იქვე შევქმნით მსოფლიოს ფედერაციასო" — განაცხადა შეშინებულმა.

მერე, ყველასგან მოულოდნელად, ლაბრუსმა ევროპის ფედერაციის პრეზიდენტად რუსეთის წარმომადგენლის ტიხონოვის კანდიდატურა წამოაყენა. ტიხონოვმა უარყო ეს წინადადება და კონგრესს იტალიელი პადრე მარიო ლოის კანდიდატურა შესთავაზა. კონგრესმა ერთხმად მიიღო ეს წინადადება. იქვე აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტებიც, მათ შორის — ნოდარ ექვთიმიშვილი.

რატომ არ გავიდა ფრანგის წინადადება? ყველა დელეგაცია, გარდა საფრანგეთისა, შეთანხმებული ვიყავით ლოი აგვერჩია პრეზიდენტად. ლაბრუსს კი ისევ და ისევ თავის დარდი აწუხებდა, ტიხონოვი არ უნდა დარჩენილიყო სამბოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

ტურინი-თბილისი.

(გაგრძელება იქნება).

იტალიელი ეტიენ ლაბრუსი (სურათზე სიღრმეში) თავისივე სიჯიუტით აღმოჩნდა გარიყული. როგორც იტყვიან, იგი „კედელთან მიაყენეს" კონგრესის დელეგატებმა.

გინესის წიგნის კანდიდატები?

ნაღდი ამბავი ანზორ ფირიაშვილზე

საოცრება პირველი

ანზორ ფირიაშვილის პაპას — ვანო ფირიაშვილს სახლის წინ, ქუჩაში 2-მეტრიანი რკინის „რელსი" ეგდო — თოვლისგან და წვიმისგან ჩაყანგებული ამ, ბარე ასკილოიანი რკინის ეზოში შეტანა განიზრახა, სახლის სათავსოს მშენებლობისთვის სჭირდებოდა. თავად მეზობლის დასაძახებლად წავიდა, მარტო ვერ ვზიდავ ამხელა რკინას და ხელის შემშველებელს ვიპოვიო. შვილიშვილმა, პატარა ანზორმა პაპამისს მიადევნა სიტყვა — იქნებ, მე და შენ ავწიოთ და შემოვათრიოთ, სხვას რად უნდა დაუძახოო. მაგრამ მოხუცს ულვაშებში ჩაეღიმა — 8 წლის ბავშვი რა „პარტნიორობას" გამიწევსო...

ორიოდ წუთში დაბრუნდა ვანო პაპა. თან ერთი კუნთმაგარი მეზობელი მოეყვანა, მაგრამ... რკინის ნაჭერი ადგილზე არ დახვდა. შვილიშვილს თურმე თოკი მიუბამს მისთვის და ისე შეუთრევია ეზოში.

საოცრება მეორე

კობა ბოჭორიშვილი იმედისმომცემ ძალოსნად ითვლებოდა და მწვრთნელმა უთხრა — კობა, ერთიორი შენსავით ღინიერი ბიჭი მომიძებნე, ერთად გავარჯიშებთო. კობამ მოძებნა ანზორ ფირიაშვილი. სანაპიროზე, ფიზკულტურელთა პარკში მდებარე ძალოსნობის წრეში მისვლისთანავე, 16 წლის ანზორმა, სრულიად უვარჯიშებელმა და ძალოსნობის საიდუმლოებების უცოდინარმა, ბარე ორი „იქაური" რეკორდი „მოხსნა", მერე კი ცოტა მეტიც მოინდომა: 450-კილოგრამიან შტანგასაც შეეჭიდა. მოსეირენი ირონიულად იღიმებოდნენ, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი — ანზორ ფირიაშვილმა მიწას აცილა უზარმაზარი ტვირთი.

სულ ცოტა ხნის წინ მთელი მსოფლიოს პრესა აავსო სენსაციურმა ფოტოსურათებმა: ლეგენდარულ პაულ ანდერსონი 500 კილოგრამიან შტანგას სწევდა კოჭებამდე.

რა თქმა უნდა, ანზორი სიამოვნებით მიიწვიეს ძალოსნობის სექციაში სავარჯიშოდ, მაგრამ ახალგაზრდამ მაშინ არად ჩათვალა მწვრთნელების თხოვნა. სპორტი, იცოცხლეთ, უყვარდა, მაგრამ „მკაცრ-რეჟიმურ" ცხოვრებას ვერ ეგუებოდა. არადა, ამის გარეშე, დაგვეთანხმებით, წარმატებაზე ფიქრიც უაზრობაა. ასე მეორედ, უკვე შემჩნეულ ნიჭს, უბრალოდ, ჩაუარა იღბალმა.

მესამე საოცრების მოლოდინში

ანზორ ფირიაშვილს უზომოდ უყვარდა ჭიდაობა. როგორც თანატოლ ბიჭებს, მასაც კერპად ლეგენდარული სანდრო კანდელაკი გაეხადა. მისი ცხოვრების ერთ-ერთი ლამაზი დღეც სწორედ ამ დიდებულ გოლიათს უკავშირდება — ერთხელ მცხეთაში შემთხვევით ნახა ჭაბუკმა ცნობილი მოჭიდავე და ირწმუნება, ხელიც ჩამოვართვიო.

ის დღე იყო და ის — ანზორს მოსვენება დაეკარგა: ჭიდაობით, ვიცი, ვერ დავემგვანები კანდელაკს, მაგრამ მისგვარი ღონე რომ მქონდეს, ამაში ვინ შემიშლის ხელსო. ღონე კი ბავშვობიდანვე მოსდევდა მართლაც. ამაში პაპამისს ჰგავდა, დედის მამას — ივანეს. მეჯვრისხეველებს, ალბათ, დღესაც ახსოვთ, ეს ძალოვანი, სახელგანთქმული ვაჟკაცი.

აისრულა ჩანაფიქრი ანზორ ფირიაშვილმა. აისრულა რომელიი!

არ გაგიგონიათ „ქართული ჭორები?!" — ვიღაცამ „გაზ-24" მარკის მანქანა 5 მეტრზე გაათრიაო, „ჟიგული" დაქოქილი დააკავა და მძღოლს თავბედი აწყევლინაო, „გაზ-53" 10 სანტიმეტრით მოსწყვიტა მიწასო...

ჭორები არაა! ნაღდი ამბავია და ანზორ ფირიაშვილი გახლავთ ამ საქმეთა „შემოქმედი".

...არც ჩვენ გვჯეროდა თავიდან, მაგრამ, როცა ანზორმა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" ეზოში ჟურნალისტების და სხვათა თვალწინ 6-ტონიანი ავტომობილი (იგი ორჯერ მძიმეა „გაზ-53"-ზე) გვარიანად შეატოკა-შეანჯღრია და ლამის მიწასაც ააცილა მისი საბურავები, ერთხმად ვირწმუნეთ არაბუნებრივი ძალის კაცთან რომ გვქონდა საქმე. მით უმეტეს, რომ დღესდღეობით ანზორ ფირიაშვილი არ არის ჩვეულ ფორმაში — უბრალოდ, გულგატეხილია: მოგეხსენებათ, ჩვენში დღემდე არავის დასჭირვებია მისი ღონე, მისი „ხელობის" კაცს არასერიოზულადაც კი უყურებდნენ. ერთადერთი გამოსავალი ძალოსნობაში ვარჯიშის დაწყება გახლდათ... თუმცა, ამაზე უკვე მოგახსენეთ.

თუ ხელშემწყობი გამოუჩნდა, გამორიცხული არ არის, ანზორ ფირიაშვილმა „გინესის რეკორდების წიგნში" მოხვედრაზეც იფიქროს. როგორც „ავტომობილებთან მორკინალმა". ხელის შეწყობა კი მართლაც სჭირდება: სპორტული სავარჯიშო პირობები (ავტომობილების გათვალისწინებით), კალორიული კვება, სისტემატური სამედიცინო კონტროლი, მოკლედ, ათასი რამ სჭირდება ამ კაცს, არადა, პერსპექტივა მართლაც იმედიანია.

ბოლოს, ერთსაც დავძენთ: ანზორ ფირიაშვილი „სულ" 52 წლისაა!

ლევან ჯაჯახიშვილი

ორჯერავე— ფინალში...

„**ლელოს**" მკითხველმა უკვე იცის, რომ დაახლოებით ერთი თვის უკან იტალიის ჩოგბურთის ფედერაციის მიწვევით ამ ქვეყანაში მოზარდთა საერთაშორისო ტურნირზე იყვნენ საქართველოს სპორტსმენები. რესპუბლიკის ღირსების დაცვა შიენდოთ „შევარდენის" სკოლის აღზრდილებს: ლევან გელაშვილს, ნინო ლუარსაბიშვილსა და სოფიკო მანაგაძეს. მაშინ მათ ლივორნოსა და ფლორინში ცუდად როდი იასპარეზეს.

მას მერე, თითქმის სამკვირიანი შესვენების შემდეგ, იტალიაში კვლავ მოეწყო ანალოგიური ტურნირები და მათში კვლავ ეს სამეული მიიწვიეს, რაც ლივორნოსა და ფლორინში კარგი გამოსვლებით დაიმსახურეს. ამჯერად ასპარეზობანი მოეწყო პალერმოსა და მესინაში. წინასწარ ვიტყვით: ორივე ამ ქალაქის კორტებზე გამოვიდნენ 12 ქვეყნის — არგენტინის, ინგლისის, დანიის, იტალიის, შვეციის, უნგრეთის, პოლონეთისა და სხვათა წარმომადგენლები. კვლავ შესანიშნავად იასპარეზა ნინო ლუარსაბიშვილმა. 14-წლიანთა შეჯიბრებაში, 70 მეტოქესთან დავაში, ლუარსაბიშვილი წაუგებლად მივიდა ფინალამდე. აქ მისი მეტოქე იყო არგენტინელი ლოპესი (სხვათა შორის, პალერმოში ყველა ფინალში მხოლოდ არგენტინელები გავიდნენ. გამონაკლისი იყო, როგორც უკვე ვთქვით, ერთეულ გოგონათა შეჯიბრება). ლუარსაბიშვილმა დაამარცხა მეტოქე. რაც შეეხება მესინას, საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, ვიტყვით, რომ ლუარსაბიშვილი აქაც წაუგებლად მივიდა გადამწყვეტ ბრძოლამდე და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. თუ ერთგვარად შევაჯამებთ ჩვენი მოზარდი ჩოგბურთელების იტალიური ტურნეს შედეგებს, კმაყოფილნი არიან არა მარტო მწვრთნელები, არამედ სპორტსმენებიც, განსაკუთრებით ლუარსაბიშვილი, რომელიც ორხივე ქალაქში ფინალური ასპარეზობის მონაწილე გახდა.

უიმბლდონის რეკორდები და საჩოგბურთო ბიზნესი

უიმბლდონის ზოგი რეკორდი გინესის წიგნშია შეტანილი, მაგრამ თვითონ უიმბლდონიც აღრიცხავს თავის რეკორდებს. ერთი ასეთი უნიკალური შედეგი დაფიქსირდა შერეულ წყვილთა პირველი წრის შეხვედრაში. ჰოლანდიელებს — მიჰელ შეიპერსა და ბრენდა შულცს საკმაოდ დიდი დროისა და ენერგიის დახარჯვა მოუხდათ, რათა დაემარცხებინათ ტომ ნისენისა (ჰოლანდია) და ანდრეა ტემეშვარის (უნგრეთი) შერეული დუეტი. პირველი და მეორე პარტიების შედეგები ადვილად თავსდება ჩვეულებრივი ჩოგბურთის ჩარჩოებში (6:3, 5:7), მესამე პარტიის ანგარიში კი უფრო ხელბურთელთა მატჩის შედეგს მოგვაგონებს — 29:27. რეკორდიც, ცხადია, აქ დაფიქსირდა — ესაა გეიმების ართამაშული რაოდენობა — 56!

შერეულ წყვილთა შეხვედრების ძველი რეკორდი 1985 წელს იყო დამყარებული, როცა მარტინა ნავრატილოვამ და ავსტრალიელმა პოლ მაკნამმა ამერიკელები — სკოტ დეივისი და ბეტსი ნეიჯელსენი დაამარცხეს ანგარიშით 6:7, 7:5, 23:21. მაგრამ ყველაზე ხანგრძლივი გადამწყვეტი პარტია გაითამაშეს ვაჟთა წყვილებმა 1968 წლის უიმბლდონზე. ეს მართლაც სარეკორდო შედეგი გახლავთ — 32:30.

საინტერესოა, აღრიცხავენ თუ არა რეკორდებს უიმბლდონზე ან სხვა რომელიმე ტურნირზე წესრიგის დარღვევისათვის გადახდილ ჯარიმებში. თუ ეს აქამდე არ მომხდარა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს შეუძლია შეეცილოს ასეთ რეკორდში ამერიკელ ჯონ მაკინროუს. აი ახლაც, მაკინროუმ სტეფან ედბერგთან შეხვედრის დროს გული იჯერა არბიტრის ლანძღვით და ამაში 10 ათასი დოლარი გადაიხადა — თავისი საპრემიო თანხის ერთი მესამედი. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონის ბიუჯეტს ეს „მცირეოდენი" ჯარიმა, ცხადია, არ დაეტყობა. სხვათა შორის, ერთხელ მილიონერმა ჩოგბურთელმა ასეთი რამ თქვა: „ზოგჯერ მსაჯები ისე აგიშლიან ხოლმე ნერვებს, რომ მზად ხარ ათობით ათასი დოლარი გადაიხადო, რომ ერთი კარგად გამოლანძღო და ამით მაინც იჯერო გული".

გთავაზობთ ვაჟთა მერვედფინალების რამდენიმე შედეგს: ბორის ბეკერი (გერმანია) — კრისტიან ბერგსტრიომი (შვეცია) 6:4, 6:7, 6:1, 7:6; ანდრე აგასი (აშშ) — იასო ელტინგი (ჰოლანდია) 6:3, 3:6, 6:3, 6:4.

ვაჟთა მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: სტეფან ედბერგი (შვეცია) — ტიერი შამპიონი (საფრანგეთი); ჯიმ კურიე (აშშ) — მიჰაელ შტიხი (გერმანია); ანდრე აგასი — დევიდ უიტონი (ორივე — აშშ); გი ფორჟე (საფრანგეთი) — ბორის ბეკერი (გერმანია).

საქართველო—მოლდოვა

გავა დრო და, ეს ფოტოები, დღეს რომ ოპერატიული მასალაა, ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენენ. გვჯერა, მომავალში კრძალვით გადაიშლება „ლელოსა“ და სხვა გაზეთების ის ნომრები, რომელთა ფურცლებზე კიშინიოვში გამართული მოლდოვასა და საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებების თამაშის ეპიზოდებია აღბეჭდილი. ასე იწყებოდაო იტყვის მესტორიე და დამოუკიდებელი ქართული სპორტის მატიანეში ამ სურათებს საპატიო ადგილს მიუჩენს. ისტორია იმასაც აღნუსხავს, რა ძნელი იყო ეს პირველი ნაბიჯები, მაგრამ პირველ ნაბიჯებს ხომ პირველი სიხარულიც ახლავს თან, სიხარული და დიდი მიზნის მიღწევის დაუოკებელი ჟინი, რომელიც კიდევ მრავალ დაბრკოლებას გადაგვალახინებს.

სურათზე: საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა კიშინიოვში ჩასვლის პირველ დღეს საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარეს; ფოტო ისტორიისათვის: მოლდოვა-საქართველო; შეტევაზეა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი გიორგი დარასელია (ზევით მარჯვნივ); პირველი ბურთი ამ მატჩში თბილისელმა თემურ ქეცბაიამ გაიტანა.

ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტოები.

„ლივერპული“, რომელიც მოგვენატრა

1984 წლის შემოდგომიდან მოყოლებული 1985 წლის გაზაფხულამდე ინგლისის საფეხბურთო კლუბი „ლივერპული“ ზედიზედ 21-ჯერ მონაწილეობდა ევროპის საკლუბო ტურნირებში — 12-ჯერ ჩემპიონთა თასზე, სამჯერ — თასების თასზე, ექვსჯერ — უეფა-ს თასზე, და ექვსჯერ გაიმარჯვა. 1973 და 1976 წლებში ფლობდა უეფა-ს თასს; 1977, 1978, 1981 და 1984 წლებში გაიმარჯვა ჩემპიონთა თასზე და მხოლოდ თასების თასის გარეშე დარჩა. აქ „ლივერპულის“ უმაღლესი მიღწევა 1966 წლის ფინალში თამაში გახლავთ, სადაც ის დამარცხდა დორტმუნდის „ბორუსიასთან“. „ლივერპული“, რომელიც თავისი სტაბილური გამოსვლებით შეგვიძლია შევადაროთ 50-60-იანი წლების მადრიდის „რეალს“, ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე მომხდარი ცნობილი ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ უეფა-მ ჩამოაცილა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობას.

ექვსი წლის შემდეგ „ლივერპული“ შეიწყალეს, 11 ივლისს კი წილისყრისას გავიგებთ, ვის „გაუმართლა“ და ვინ იქნება მისი მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშებაში. ლივერპულელებმა უკანასკნელად ამ ტურნირში 1975-1976 წლებში იასპარეზეს, ფინალში დაამარცხეს ბელგიის „ბრიუგე“ და დაეპატრონენ მეტად საპატიო პრიზს.

„ლივერპულის“ დაბრუნება იმიტომაც არ დარჩებოდა შეუმჩნეველი, რომ ინგლისის მართლაც ძლიერმა კლუბმა ბოლო ოცი წლის განმავლობაში საფეხბურთო სამყაროს „ეიზელის“ ტრაგედიის გარდა, ბევრი დასამახსოვრებელი საფეხბურთო წარმოდგენა აჩუქა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერასდროს დავივიწყებთ 1979 წლის 3 ოქტომბრის მატჩს, როდესაც თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ლივერპული“ — ტურნირის უდავო ფავორიტი. მაშინ „ლივერპულში“ კიგანი აღარ თამაშობდა, მაგრამ წილისყრამ საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა, როგორი იყო ეს გუნდი აღზევებისას — შემდეგ მატჩში „ჰამბურგის“ შემადგენლობაში ჯერ ტელეეკრანებზე, მერე კი თბილისის სტადიონზე ვიხილეთ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი კევინ კიგანი, რომელმაც ორივე შეხვედრაში თითო გოლი გაიტანა. ახლა კი გადავწვდეთ წარსულს, გავიხსენოთ, როგორ გახდა „ლივერპული“ ჯერ ინგლისის, შემდეგ კი ევროპის საუკეთესო კლუბი.

გუნდი ჩამოყალიბდა 1878 წელს, მისი მოთამაშეები მუდამ წითელი მაისურებითა და შავი ტრუსებით ასპარეზობდნენ. აქვთ სტადიონი „ენფილდ როუდი“, რომელზეც თითქმის არ აგებენ შეხვედრებს და თავიანთი გულშემატკივრებისგან ისეთი დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ, რომ მოწინააღმდეგეებმა ამ სტადიონს „საგიჟეთი“ შეარქვეს. „ლივერპულმა“ პირველ ლიგაში გადასვლა შეძლო 1894-95 წლების სეზონში, მაგრამ მალევე დაუბრუნდა მეორე ლიგას. ერთი წლის შემდეგ კვლავ მიიღო უფლება, ებრძოლა ინგლისის ჩემპიონის წოდებისთვის, რაც პირველად 1901 წელს შეძლო. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ლივერპული“ გახდებოდა მე-20 საუკუნის ინგლისის უძლიერესი გუნდი — სამი წლის შემდეგ ხომ ისევ დატოვა პირველი ლიგა. პრესაში დიდი რეზონანსი გამოიწვია ორმა შემთხვევამ — 1962 და 1978 წლებში ინგლისის გუნდები „იფსვიჩი“ და „ნოტინგემი“ პირველ ლიგაში დაბრუნებისთანავე გახდნენ ჩემპიონები. მაგრამ პირველად ასეთი „ნაბიჯი“ სწორედ „ლივერპულმა“ გადადგა: 1905 წელს გაიმარჯვა მეორე ლიგაში, 1906 წელს კი მეორედ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონის წოდება. „ლივერპულმა“ კიდევ ერთხელ — 1954 წელს დატოვა უძლიერესთა რიგები, მანამდე კი — 1922, 1923, 1947 წლებში, იყო ქვეყნის ჩემპიონი. აი, ინგლისის თასზე მათ სასტიკად არ უმართლებდათ: არაერთხელ მიაღწიეს ნახევარფინალს, ორჯერ — 1914 და 1950 წლებში, ფინალშიც ითამაშეს, მაგრამ ორჯერვე დამარცხდნენ — ჯერ „ბერნსლისთან“, შემდეგ — „არსენალთან“. მაშინდელი „ლივერპულის“ ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი იყო შოტლანდიელი ფორვარდი უილიამ ლიდელი, რომელიც ამ კლუბში 21 (!) წელი გამოდიოდა; 1939-დან 1960 წლამდე „ლივერპულის“ შემადგენლობაში ჩაატარა 992 მატჩი და გაიტანა 216 ბურთი. შოტლანდიის ნაკრებში 1947-1956 წლებში 28-ჯერ ითამაშა. სწორედ ლიდელმა მიიყვანა 1947 წელს „ლივერპული“ ჩემპიონობამდე, იმ დროს ამ გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა შემდეგში ცნობილი მწვრთნელი ბობ პეისლი, რომლის წყალობითაც მოიპოვა „ლივერპულმა“ ყველაზე თვალსაჩინო გამარჯვებები. მაგრამ ჩვენ გავასწრებით მოვლენებს.

შეტევაზეა კენი დალგლიში.

იან რაში 1984 წელს მოპოვებული ევროპის ჩემპიონთა თასით.

როდესაც 1959 წელს „ლივერპული“ მეორე ლიგაში გამოდიოდა, გუნდის მწვრთნელად მოვიდა ბილ შენკლი. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მანამდე არაფრით გამორჩეული მწვრთნელი რაიმე სარგებლობას მოუტანდა „ლივერპულს“. ბილ შენკლი, წარმოშობით შოტლანდიელი (წინასწარ ვიტყვით, რომ „ლივერპულს“ ყოველთვის უმართლებდა შოტლანდიელებში), 30-იანი წლების გამორჩეული ფეხბურთელი იყო. „პრესტონის“ შემადგენლობაში 1938 წელს ფლობდა ინგლისის თასს, ამავე წლებში ხუთი შეხვედრა ჩაატარა შოტლანდიის ნაკრებში. „ლივერპულში“ მისვლამდე იგი ოთხი წელი სათავეში ედგა „ჰადერსფილდს“, [illegible] სახელის მოპოვება ვერ შეძლო. შენკლიმ „ლივერპულში“ შეიტანა სიახლე, რაც მას ყველასგან გამოარჩევს, — ძირითადი ყურადღება მან დაუთმო ფიზიკურ მომზადებას, რის წყალობითაც გუნდს შეეძლო თანდათან გაეძლიერებინა თამაშის ტემპი პირველიდან ბოლო წუთამდე, ებრძოლა მოედნის ყველა მონაკვეთზე, ამიტომ შენკლიმ გუნდიდან გაუშვა ვეტერანები, მათ შორის ლიდელიც და დარჩა ახალგაზრდების იმედად. შენკლის მუშაობის პირველი სამი წელი შემადგენლობის დაკომპლექტებას დასჭირდა, გუნდი ისევ მეორე ლიგაში იმყოფებოდა. ბოლოს და ბოლოს, ძიებები დამთავრდა და „ლივერპულმა“ დაიწყო წინსვლა — 1962 წელს გაიმარჯვა მეორე დივიზიონში და დაბრუნდა პირველ ლიგაში; 1964 წელს კვლავ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება; 1965 წელს კლუბი თავის ისტორიაში პირველად დაეუფლა ქვეყნის თასს; 1966 წელი — კვლავ ოქროს მედლები ინგლისის ჩემპიონატში და ევროპის თასების თასის ფინალში გასვლა. მაშინ „ლივერპულში“ ბრწყინავდა ინგლისის ნაკრების ცენტრფორვარდი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი როჯერ ჰანტი, რომელმაც ალფ რამსეის გუნდში „შეავიწროვა“ ჯიმი გრივსი. მარცხენა ფრთიდან მას ეხმარებოდა ბრწყინვალე გარემარბი იან კალაგანი, მოედნის სიღრმიდან — ტომი სმიტი. შემდგომ გუნდი ცოტა „გაფერმკრთალდა“: „ბოლტონში“ გადავიდა ჰანტი, „დაბერდნენ“ სხვა „ვარსკვლავებიც“. მაგრამ შენკლის ბრწყინვალე სასელექციო ნიჭის წყალობით, 70-იანი წლების დასაწყისში „ლივერპულში“ შეიკრიბნენ მეკარე რეი კლემენსი, მცველი ემლინ ჰიუჯესი, თავდამსხმელები — კევინ კიგანი, უელსელი ჯონ ტოშაკი, ირლანდიელი სტივ ჰეივეი, რომლებიც თავიანთი ქვეყნების წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ. კალაგანი გადაიყვანეს ნახევარდაცვაში, სმიტი კი — დაცვაში. ამ ბრწყინვალე ოსტატთა პლეადით ბილ შენკლიმ არა მარტო ინგლისში დაუბრუნა „ლივერპულს“ წამყვანი პოზიციები — 1973

იხ. მე-4 გვ.

თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდამეხუთემდე

მარადიული ქალაქის ემისრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ფოტო გადაღებულია რომის XVII ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე ფილადელფიაში, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ამხანაგურ შეხვედრაზე. სურათზე აღბეჭდილი არიან იმ დროის საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელები: მარცხნიდან — ჩ. დიუმასი, ი. კაშკაროვი, რ. უილიამსი და რ. შავლაყაძე. ჩვენს თანამემამულეს, ცხადია, ჯერ არა აქვს მოპოვებული ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი.

როცა რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა, ეკლესიამ ოლიმპიური თამაშები წარმართულ დღესასწაულად გამოაცხადა და აკრძალა. კანონს ამ აკრძალვის შესახებ ხელი მოაწერა იმპერატორმა თეოდოს I. ეს მოხდა მილანში, ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წელს.

ზუსტად 1566 წლის შემდეგ, 1960 წლის 24 აგვისტოს მარადიულ ქალაქში წმინდა პეტრეს ტაძრის წინ საგანგებოდ მორთულ მოედანზე XVII ოლიმპიური თამაშების მონაწილენი აკურთხა რომის პაპმა.

ამბობენ, გამოთქმა მარადიული ქალაქი პირველად პოეტმა ტიბულუსმა იხმარაო, მაგრამ რომის მარადიულობის თემას სხვა პოეტების შემოქმედებაშიც ვხვდებით, ოღონდ პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის მნიშვნელობით. საკაცობრიო კულტურის ღირებულებათა გამომხატველად რომი იქცა მოგვიანებით, ქრისტიანობის მომძლავრების პერიოდში.

ლეგენდის თანახმად, ანტიკური სამყაროს ყველა გზა აპოლონის მიერ კურთხეული რომისკენ მიდიოდა. მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში რომი. ერთხელ კიდევ გახდა სამყაროს კულტურული და გეოგრაფიული ცენტრი. ამის მიზეზი იყო XVII ოლიმპიადა, რომელიც მარადიულ ქალაქში აგვისტო-სექტემბრის პერიოდში გაიმართა. რომში საასპარეზოდ ჩავიდა (25 აგვისტო — 11 სექტემბერი) 83 ქვეყნის 5348 სპორტსმენი, რომელთა შორის 610 ქალი იყო. თამაშებში პირველად სცადეს ძალები ვესტ-ინდოეთის ფედერაციის, მაროკოს, სან-მარინოს, სუდანისა და ტუნისის წარმომადგენლებმა. 18 დღის განმავლობაში რომის სპორტულ ბაზებზე 76 ოლიმპიური და 30 მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ყველაზე დიდ წარმატებას, ტრადიციულად, მძლეოსნებმა მიაღწიეს — 30 ოლიმპიური რეკორდი დაამყარეს (8 მსოფლიოსი). ძალოსნებმა რეკორდების ცხრილში 26 (13) შესწორება შეიტანეს, მოცურავეებმა — 15 (7), მსროლელებმა — 3 (1), ველოსიპედისტებმა — 2 (1). ოლიმპიადის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს ამერიკელი მძლეოსანი ვილმა რუდოლფი, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიპოვა მოკლე მანძილებზე რბენაში.

ქართული სპორტის ავანგარდი მარადიულ ქალაქში თექვსმეტი ოლიმპიელით იყო წარმოდგენილი და ამ ღირსეულთა შორის ორმა ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა, ხუთმა — ვერცხლის და სამმა — ბრინჯაოს მედალი. ქართველ სპორტსმენთა წარმატება ოლიმპიადაზე 32,52 ქულით აღინიშნა. ეს შედეგი თამაშების არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში XX ადგილს შეეფერება. ასეთ სტატისტიკას არავინ აწარმოებს, თორემ საქართველოს 16 ოლიმპიელი რომში 63 ქვეყანას ჩამოიტოვებდა უკან.

ოლიმპიადებში რამდენიმე გამარჯვებას, როგორც წესი, საგანგებოდ გამოჰყოფენ ხოლმე, მათ „ავტორებს“ კი ტრიუმფატორებად მიიჩნევენ. აი, ერთი ასეთი ტრიუმფატორი რომში ჩვენი თანამემამულე რობერტ შავლაყაძე გახლდათ და რამდენიმე სიტყვას მასზე უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

60-იანი წლებიდან ვაჟთა სიმაღლეზე ხტომის ისტორიაში ახალი, ე. წ. კოსმოსური ხანა დაიწყო, რომელიც ზუსტად რომის ოლიმპიადის წინ ამერიკელმა ზანგმა ჯონ თომასმა მსოფლიო რეკორდით — 222 სანტიმეტრით დააგვირგვინა. მარადიულ ქალაქში თომასი ჩავიდა როგორც ჭეშმარიტი ტრიუმფატორი და მთავარი ფავორიტი, მაგრამ ვიქტორ ბოლშოვის, ვალერი ბრუმელისა და განსაკუთრებით რობერტ შავლაყაძის სახით გადაულახავ ზღუდესა და დაუმორჩილებელ მეტოქეებს წააწყდა.

...იმ დღეს, „ფორო იტალიკოს“ სტადიონზე მძლეოსანთა პროგრამა ადრე დამთავრდა. მოასპარეზენი მხოლოდ სახტომ სექტორს შემორჩნენ. სტადიონზე ბინდი ჩამოწვა და, ბრძოლის მსვლელობისთვის უკეთ რომ ედევნებინათ თვალი, მაყურებლებმა ჩირაღდნები აანთეს. აი, ამ ჩირაღდნების შუქზე მიმდინარეობდა დავა მსოფლიოს სამ უძლიერეს სიმაღლეზე მხტომელს შორის, რომელიც რობერტ შავლაყაძის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

შუაღამე მოახლოებული იყო, როცა სტადიონმა მქუხარე ოვაციებით გააცილა გასახდელისკენ ამ დაუვიწყარი სანახაობის სამი მთავარი მონაწილე: ქართველი რობერტ შავლაყაძე, რუსი ვალერი ბრუმელი და ამერიკელი ჯონ თომასი. მათ შორის ყველაზე მეტი პატივი, ოლიმპიური ტრადიციების თანახმად, გამარჯვებულ სპორტსმენს მიაგეს.

ახლა, ტრადიციულად, ოლიმპიური სტატისტიკა. ჯერ რამდენიმე სიტყვა სსრკ-ის დელეგაციის შემადგენლობაზე. რომში პირველად მიავლინა სპორტსმენები თხუთმეტივე საბჭოთა რესპუბლიკამ ასეთი თანმიმდევრობით: რუსეთის ფედერაცია — 192, უკრაინა — 35, საქართველო — 16, ბელორუსია — 10, ლატვია — 6, ესტონეთი — 6, სომხეთი — 5, ლიტვა — 5, აზერბაიჯანი — 2, მოლდავეთი — 2, ყაზახეთი — 1, ყირგიზეთი, — 1, ტაჯიკეთი — 1, თურქმენეთი — 1, უზბეკეთი— 1.

საინტერესოა, როგორ განაწილდა მედლები რესპუბლიკებს შორის:

	ო.	ვ.	ბ.
რუსეთის ფედერაცია	33	32	30
უკრაინა	16	11	6
ბელორუსია	4	1	1
საქართველო	2	5	3
სომხეთი	1	2	1
ლატვია	—	4	2
ლიტვა	—	2	1
აზერბაიჯანი	—	2	—
ესტონეთი	—	2	—
მოლდავეთი	—	1	—
თურქმენეთი	—	1	—

საქართველოს ოლიმპიელთა მონაგარი რომში ასეთი იყო:

რობერტ შავლაყაძე — I ადგილი მძლეოსნობაში. სიმაღლეზე ხტომა.

ავთანდილ კორიძე — I ადგილი კლასიკურ ჭიდაობაში.

გოგი სხირტლაძე — II ადგილი თავისუფალ ჭიდაობაში

გურამ მინაშვილი — II ადგილი კალათბურთში.

ვლადიმერ უგრეხელიძე — II ადგილი კალათბურთში.

გივი ჩიქვანაია — II ადგილი წყალბურთში.

ლერი გოგოლაძე — II ადგილი წყალბურთში.

გივი კარტოზია — III ადგილი კლასიკურ ჭიდაობაში.

ვლადიმერ რუბაშვილი — III ადგილი თავისუფალ ჭიდაობაში.

გურამ კოსტავა — III ადგილი ფარიკაობაში, დაშნა.

ალექსანდრე შჩერბინა — IV ადგილი მძლეოსნობაში. სპორტული სიარული 50 კმ.

ბორის ნიკიტინი — VIII ადგილი. ცურვა. 4X200 მ. თავისუფალი სტილით.

ნუგზარ ასათიანი — მეოთხედფინალი ფარიკაობაში. ხმალი.

ვახტანგ ბალავაძე — XI ადგილი თავისუფალ ჭიდაობაში.

რევაზ ქვაჩაკიძე — უადგილოდ. მძლეოსნობა. სიგრძეზე ხტომა.

იური დიაჩკოვი — უადგილოდ. მძლეოსნობა. ათჭიდი.

რომის ოლიმპიადაზე მედლები და ადგილები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში უძლიერესთა შორის ასე განაწილდა:

	ო.	ვ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	43	29	31	682,5
აშშ	34	21	16	463,5
გერმანია (გდრ, გფრ)	12	19	11	280,5
იტალია	13	10	13	232
უნგრეთი	6	8	7	151,5
პოლონეთი	4	6	11	148

რომის ოლიმპიადიდან დაბრუნებულ ავთანდილ კორიძეს გამარჯვებასა და ჩემპიონის ოქროს მედალს ულოცავს მისი მწვრთნელი პეტრე იორდანიშვილი.

„ლივერპული“, რომელიც მოგვენატრა

(დასასრული)

წლის ჩემპიონობა, 1974 წელს მოპოვებული ქვეყნის თასი — ხოლო, პირველად კლუბის ისტორიაში, 1973 წელს დაეუფლა უეფა-ს თასს; ფინალში დაამარცხა არანაკლებ ცნობილი გერმანიის გუნდი მიონხენგლადბახის „ბორუსია“, რომელშიც თამაშობდნენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონები: ფოგტსი, ბონჰოფი, ჰეინკესი, ვიმერი, მომდევნო წელს ბილ შენკლიმ მმართველობის სადავეები გადასცა თავის თანაშემწეს ბობ პეისლის და მანაც დაასრულა ევროპის „დაპყრობა“. ამისთვის პეისლიმ ვეტერანების გარდა შეიძინა მცველები: ფილ ნილი და ფილ ტომპსონი, თავდამსხმელები — ტერი მაკდერმოტი და რეი კენედი.

რ. კენედი „ლივერპულში“ მივიდა როგორც თავდამსხმელი, მაგრამ 37 შეხვედრაში მან მხოლოდ 12 ბურთი გაიტანა. პეისლიმ იგი ნახევარდაცვაში გადაიყვანა, სადაც 10 წელი ითამაშა. „ლივერპულმა“ პეისლის ხელმძღვანელობით 1976 წელს გაიმეორა შენკლის მიღწევა, ბოლო 1977 წელს დაეუფლა ჩემპიონთა თასს, ფინალში კვლავ დაამარცხა მიონხენგლადბახის „ბორუსია“.

1978 წელს „ლივერპულმა“ ზედიზედ მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი, მაგრამ, თუ შევადარებთ გუნდის შემადგენლობას წინა წლებისას, დავინახავთ, რომ 1978 წელს გაიმარჯვა სრულიად ახალმა გუნდმა. თუ როგორ შეძლო პეისლიმ ერთი წლის განმავლობაში მოეძებნა შემცვლელები თითქმის ნახევარი გუნდისთვის და მოეპოვებინა ევროპის თასი, დღესაც გამოუცნობია. „ჰამბურგმა“ შეიძინა კევინ კიგანი, კარიერა დაასრულეს კალაგანმა და სმიტმა.

კალაგანმა 18 სეზონის მანძილზე გუნდის შემადგენლობაში ჩაატარა 800 შეხვედრა და ამ ხნის განმავლობაში არათუ არ ყოფილა გაძევებული, გაფრთხილებაც არ მიუღია. სმიტმა 14 სეზონში 600-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა, მათ დაემატა გუნდიდან წასული უელსის ნაკრების ახალგაზრდა მცველი ჯო ჯონსი და ტრავმირებული სტივ ჰეივეი. ისინი „ლივერპულში“ შეცვალა „შოტლანდიურმა ტალღამ“ — ალან ჰანსენმა, გრემ სოუნესმა და კენი დალგლიშმა, რომლებსაც, ვფიქრობთ, წარდგენა არ სჭირდებათ, რადგან ისინი ჩვენ გვინახავს 1978, 1982 და 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე და 1979 წლის თბილისის მატჩში.

ეს შემადგენლობა არ შეცვლილა 1981 წლამდე, როდესაც გუნდმა მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. 1984 წელს მეოთხე გამარჯვება „ლივერპულმა“ იზეიმა ნილთან, რ. კენედისთან, ჰანსენთან, დალგლიშთან, საუნესთან ერთად. გუნდს კი სათავეში ედგა ახალი მწვრთნელი რ. ფელანი, რომელმაც 1983 წელს შეცვალა ბ. პეისლი. აქ უკვე ახალი „ვარსკვლავები“ იყვნენ — ზიმბაბველი მეკარე ბრიუს გრობელაარი, ირლანდიელი მცველი რონი ველანი, შოტლანდიელი ნახევარმცველი სტივ ნიკოლი, უელსელი ცენტრფორვარდი იან რაში. ყველა დღემდე თამაშობს გუნდში, რომელსაც 1985 წელს სათავეში ჩაუდგა ჯერ როგორც მოთამაშე მწვრთნელი, შემდეგ როგორც მწვრთნელი კენი დალგლიში. წლევანდელ სეზონში იგი შეცვალა მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა გრემ საუნესმა.

კევინ კიგანი.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე „ლივერპულში“ 4 მწვრთნელი შეიცვალა, ამის მიზეზი გუნდის შედეგები ნამდვილად არ ყოფილა. „ლივერპულმა“ 80-იან წლებში გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლო ვერავინ ინგლისის ჩემპიონატის ასწლიანი ისტორიის მანძილზე: იგი ექვსჯერ 1980, 1982, — 1984, 1986, 1988 წლებში იყო ინგლისის ჩემპიონი (ბოლოს — 1990 წელს), ორჯერ მოიპოვა თასი 1986 და 1989 წლებში, ზედიზედ ოთხი წელი — 1981-დან 1984 წლამდე ფლობდა ინგლისის ლიგის თასს. მოკლედ, შეინარჩუნა ინგლისში უძლიერესი გუნდის სახელი.

„ლივერპულის“ ახლანდელ შემადგენლობაში გრობელაარის, ველანის, რაშისა და ნიკოლის გარდა, აგრძელებს თამაშს 35 წლის ვეტერანი ალან ჰანსენი, მაგრამ ხმები გავრცელდა, რომ იგი ასრულებს თავის კარიერას. გუნდშია ინგლისის ნაკრების სამი მოთამაშე — მცველი დევიდ ბოროუზი, თავდამსხმელები: პიტერ ბირდსლი და ჯონ ბარნსი, ეს უკანასკნელი მართავს მოლაპარაკებას ერთ-ერთ იტალიურ კლუბთან. მათ გარდა, თავიანთი ქვეყნების ნაკრებების ლიდერები არიან მცველი გლენ ჰიზენი (შვეცია), სტივ სტაუნტონი (ირლანდია), ნახევარმცველები: გარი გილესპი (შოტლანდია), იან მოლბიუ (დანია), ედ როზენტალი (ისრაელი). უეფა-ს ახალი წესებით, ინგლისის კლუბებში შეუძლიათ ჰყავდეთ მხოლოდ ხუთი უცხოელი, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა ჩათვლით — შოტლანდიიდან, უელსიდან, ირლანდიიდან, ეს წესები არ ვრცელდება გრობელაარზე, ველანზე, ნიკოლიზე და გილესპიზე, რომლებიც „ლივერპულში“ ხუთ წელზე მეტია თამაშობენ (1987-1988 წლების სეზონში რაში იტალიაში გამოდიოდა).

აი, ასეთი გუნდი ბრუნდება ევროპის საფეხბურთო სცენაზე. გუნდმა ექვსი წლის მანძილზე შეინარჩუნა თავისი აგრესიული, ტემპერამენტული თამაშის სტილი და ერთგული ქომაგები. გუნდი, ვისი თამაშიც მოენატრათ ინგლისური ფეხბურთის მოყვარულებს, ასეთები კი ცოტანი როდი არიან საქართველოშიც, იმედია, საქართველოს ტელევიზიის დახმარებით შევძლებთ ვიხილოთ ახლანდელი „ლივერპული“.

ზურაბ ტაბატაძე

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები: მ. ძემაძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.